აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 20

14 ოქტომბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თამაზ შარმანაშვილი, ქეთევან ჯიქია, თამარ ხოზრევანიძე, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, ლევან გაბრიჩიძე, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე, ავთანდილ ჩახვაძე, ირაკლი გვარამია და ანზორ ბაღათურია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების - „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ სიმართლისა და სამართლის ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის“ და „ახალი თაობა – ახალი ინიციატივის“ წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დღის წესრიგში შეტანილი უნდა იქნას ცვლილება, იქიდან გამომდინარე, რომ უსკოს მიერ წინა სხდომაზე განიხილებოდა „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციი“-ს განცხადება №80 ქედის, №81 ქობულეთის, №82 შუახევის №83 ხელვაჩაურის და №84 ხულოს საარჩევნო ოლქებში შემავალ ყველა უბნებზე ვიდეოთვალის დამონტაჟების საკითხი. მან აღნიშნა, რომ ეს საკითხი იყო წინა სხდომაზე განხილული, მაგრამ რადგანაც უმაღლეს საარჩევნო კომისიას არ ჰქონდა შესაბამისი ინფორმაცია, თუ რამდენადაა შესაძლებელი როგორც ტექნიკურად, ასევე ფინანსურად ვიდეოთვალების დამონტაჟება აღნიშნულ ოლქებში შემავალ ყველა უბანზე გადადებული იქნა მომდევნო სხდომისათვის.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშნვები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის ცვლილების გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება
საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერ ინსტრუქციაში ცვლილების შეტანის შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

3. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

(მომხ. ქ. ჯიქია)

4. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ განცხადების განხილვა.

1. დადგენილება
საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერ ინსტრუქციაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერ ინსტრუქციაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ ცვლილების შეტანა ძირითადად განპირობებული იყო იმ თვალსაზრისით, რომ უსკო-ს მიერ 2008 წლის 11

სექტემბრის №9 დადგენილებით დამტკიცებულ საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერ ინსტრუქციის პირველ მუხლში აღნიშნულია, რომ საარჩევნო კომისია საარჩევნო დოკუმენტაციის მიღება, გაცემასა და რეგისტრაციას ახორციელებს სამუშაო დღის 18 საათამდე. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული საკითხი მოწესრიგებულია „საქართველოს საარჩევნო კოდექსით", მიზანშეწონილია უსკოს მიერ მიღებულ ინსტრუქციის პირველ და მე-11 მუხლში შეტანილი იქნას ცვლილებები რათა თავიდან იქნას აცილებული მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით ყოველგვარი გაუგებრობა. ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამოთქვეს „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" წარმომადგენლებმა. ცვლილების თანახმად, საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურის დარღვევასთან დაკავშირებით განცხადება/საჩივრის შეტანა მოხდება დარღვევის შემჩნევისთანავე, კენჭისჭრის დღის 7 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე და საჩივრის შემომტან პირს/სადამკვირვებლო ორგანიზაციას/საარჩევნო სუბიექტს ეცნობება საჩივრის დროისა და ადგილის განხილვის შესახებ. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 11 სექტემბრის №9 დადგენილებით დამტკიცებულ საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის

შეტანისა და განხილვის წესების აღმწერ ინსტრუქციაში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. განცხადება/საჩივრის რეგისტრაცია.

საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივარი შეტანილად ითვლება შესაბამის საარჩევნო კომისიაში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

საარჩევნო კომისია საარჩევნო დოკუმენტაციის მიღებას, გაცემასა და რეგისტრაციას ახორციელებს სამუშაო დღის 18 საათამდე.

საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურის დარღვევასთან დაკავშირებით საჩივარი შეიტანება დარღვევის შემჩნევისთანავე, კენჭისყრის დღეს 07 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე.

ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების პროცედურებთან დაკავშირებით, კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის თაობაზე საჩივარი შეიტანება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების რეგლამენტების შესაბამისად კომისიებში განცხადება/საჩივარის მიღებაზე და სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრაციაზე პასუხისმგებელია შესაბამისი კომისიის მდივანი, ხოლო უსკოში, რეგლამენტის შესაბამისად – **საერთო სამსახური** .

განცხადება/საჩივარი საარჩევნო კომისიაში მიღებისას დაუყოვნებლივ ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში, სადაც უწყვეტი თანმიმდევრობით აღირიცხება მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. თითოეულ დოკუმენტს მიენიჭება შესაბამისი ნომერი (კოდი), ჟურნალში შეიტანება მისი შემოსვლის თარიღი, დრო და ფურცლების რაოდენობა. სარეგისტრაციო ჟურნალში აღინიშნება განმცხადებლის/მომჩივანის ვინაობა და საკონტაქტო ტელეფონი. ჟურნალში სათანადოდ რეგისტრაციის შემდეგ განმცხადებელს/მომჩივანს გადაეცემა წერილობითი ცნობა, რომელშიც მიეთითება განცხადების/საჩივრის მიღების თარიღი და ზუსტი დრო, ასევე სარეგისტრაციო ჟურნალში მისთვის მინიჭებული ნომერი (კოდი). აღნიშნულ ცნობას განცხადების/საჩივრის მიმღები კომისიის თანამშრომელი ადასტურებს ხელმოწერითა და ბეჭდით.“

2. მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საარჩევნო კომისიის სხდომაზე საჩივრის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ უნდა ეცნობოს საჩივრის შემომტან პირს/სადამკვირვებლო ორგანიზაციას/საარჩევნო სუბიექტს, საქართველოს კანონმდებლობით გათავალისწინებული წესით“.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" თანახმად, ბიულეტენების ბეჭდვის პროცესის დაკვირვების უფლება აქვთ უსკო-ს განკარგულებით დანიშნულ კომისიის 2 წევრს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 03 ნოემბრის არჩევნებისათვის უსკო-ს მიერ რეგისტრირებულ დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც შეთანხმების საფუძველზე ბიულეტენის ბეჭდვის პროცესში წარმოადგენენ არა უმეტეს სამ დამკვირვებელს. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს საკითხი იყო წინა სხდომის განხილვის საგანი, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ არ იქნა შერჩეული კანდიდატები, ეს საკითხი კვლავ იქნა გამოტანილი კომისიის სხდომაზე. კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ კომისიის წევრების მხრიდან ბიულეტენების ბეჭდვის პროცესზე დაკვირვების სურვილი გამოთქვეს კომისიის წევრებმა გია გარსევანიშვილმა და დავით რობაქიძემ, ხოლო დამკვირვებელი ორგანიზაციებიდან აღნიშნულ პროცესზე დაკვირვების სურვილი გამოთქვეს სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა „ახალი თაობა – ახალი ინიციატივიამ" და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ", რომლებმაც უსკოს წარმოუდგინეს თავიანთი წარმომადგენლები, რომლებიც დააკვირდებიან ბიულეტენის ბეჭდვის პროცესს, კერძოდ: „ახალი თაობა – ახალი ინიციატივია"-ს წარმომადგენელი მიხეილ დევდარიანი, ხოლო „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" წარმომადგენელი გოდერძი კაპანაძე და ნინო ბიბილეიშვილი. ასევე აღნიშნა, რომ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია"-მ უარი თქვა ბიულეტენის ბეჭდვის პროცესზე დაკვირვებაში მონაწილეობის მიღებაზე.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 51-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭვდის პროცესზე შეიქმნას დამკვირვებელთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) გია გარსევანისვილი - კომისიის წევრი;
ბ) დავით რობაქიძე - კომისიის წევრი;
გ) მიხეილ დევდარიანი - ,,ახალი თაობა - ახალი ინიციატივა";
დ) გოდერძი კაპანაძე - ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება";
ე) ნინო ბიბილეიშვილი - ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

მოისმინეს: მომხსენებელმა, ქეთევან ჯიქიამ, კომისიის წევრებს გააცნო №80 ქედის საარჩევნო ოლქის წევრის დიმიტრი დარჩიასა და და №81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის – ბადრი ცინცქილაძის განცხადებები – საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. ასევე აღნიშნა, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისია საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება ოლქის წევრებს თუ

ისინი პირადი განცხადებით მოითხოვენ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება №80 ქედის ოლქის წევრის დიმიტრი დარჩიას და №81 ქობულეთის ოლქის წევრის ბადრი ცინცქილაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის და საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 95-ე მუხლის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. შეუწყდეს უფლებამოსილება №80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს დიმიტრი დარჩიას და №81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს ბადრი ცინცქილაძეს საკუთარი განცხადებების საფუძველზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ განცხადების განხილვა

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ განცხადება და აღნიშნა, რომ როგორც კომისიისათვის ცნობილია, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ განცხადებით ითხოვს უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3

ნოემბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით №79 ბათუმის ოლქში შემავალი უბნების მსგავსად ვიდეოთვალის განთავსება მოხდეს ქედის, შუახევის, ქობულეთის, ხელვაჩაურის და ხულოს საარჩევო ოლქებში შემავალ უბნებზე. მან აღნიშნა, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ იმსჯელა წინა სხდომაზე, მაგრამ შესაბამისი გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული იქიდან გამომდინარე, რომ მოსაძიებელი იყო ინფორმაცია შესაძლებელი იყო თუ არა ფინანსურად და ტექნიკურად ოლქების მიერ შექმნილ ყველა უბნებზე ვიდეოთვალის განთავსება. ამავე სხდომაზე დაევალათ ეკონომიკურ, იურიდიულ და საორგანიზაციო სამსახურებს შეესწავლათ მოცემული საკითხი და მოეწოდებინათ კომისიისათვის რამდენად იქნებოდა შესაძლებელი ფინანსურად და ტექნიკურად ოლქების მიერ შექმნილ ყველა უბანზე ვიდეოთვალის განთავსება. ასევე აღნიშნა, რომ ხსენებული სამსახურების მიერ მოძიებული და შესაწავლილი იქნა შესაბამისი ინფორმაცია როგორც ტექნიკურად, ისე ფინანსურად შეიძლებოდა თუ არა ვიდეოთვალების განთავსება ყველა უბანზე და აღნიშნა, რომ აღნიშნული სამსახურების მიერ მოწოდებული ინფორმაციით აღმოჩნდა, რომ აჭარის რაიონების 258 უბანზე ვიდეოთვალის მონტაჟი და დემონტაჟი მინიმუმ ერთ უბანზე დაახლოებით 200-230 ლარს შეადგენს. ამ შემთხვევაში საერთო თანხა სადღაც 60000 ლარს შეადგენს, რაც მოითხოვს ტენდერის გამოცხადებას, ტენდერის გამოცხადებას და გამარჯვებული ფირმის გამოვლენას კი სჭირდება დაახლოებით ერთი თვე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიდეოთვალების დამონტაჟება აჭარის რაიონების ყველა უბანზე ვერ მოესწრება, ვინაიდან არჩევნებამდე დარჩენილია 20 დღე. ასევე აღნიშნა, რომ ეკონომიკური სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით უსკოს შესყიდვების გეგმაში არ აქვს რაიონებისათვის ვიდეოთვალის მონტაჟისათვის თანხა და შესყიდვების გეგმა მოითხოვს შეცვლას. ასევ აღნიშნა, რომ იურიდიული სამსახურის მიერ გამოთხოვილი იქნა საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 21 მაისის არჩევნებისას აჭარის ტერიტორიაზე არსებულ უბნებზე და ოლქებზე შესული საჩივრები. სადაც აღმოჩნდა, რომ 125 საჩივრიდან, საჩივრების არაუმეტეს 20%-სა არ აღემატებოდა ისეთ დარღვევების რომელიც შეიძლება დაეფიქსირებინა ვიდეოთვალს, ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ მათ შორის მიღებული შედეგი ვიდეოფირის ნახვის გარეშე თვით ამ უბნებისა და ოლქის მიერ ისედაც იქნა გაუქმებული, რის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კომისიას მოახსენა, რომ

უსკოს ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე შესაძლოა რამოდენიმე უბანზე ვიდეოთვალის განთავსება და მიმართა კომისიას განთავსებულიყო თუ არა აღნიშნული ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში რამოდენიმე უბნებზე ვიდეოთვალის განთავსება და რომელ უბნებზე.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა - თამაზ შარმანაშვილმა, ქეთევან ჯიქიამ, გია გარსევანიშვილმა, დავით რობაქიძემ, ასლან ჩავლეიშვილმა, ლევან გაბრიჩიძემ, ანზორ ბაღათურიამ და ავთანდილ ჩახვაძემ. თამაზ შარმანაშვილმა, გია გარსევანიშვილმა და ასლან ჩავლეიშვილმა აღნიშნეს, რომ ვიდეოთვალის განთავსება საარჩევნო ოლქებში შემავალ ყველა უბნებზე ვერ მოხერხდება დროის უკმარისობის გამო. ანზორ ბაღათურიამ და ლევან გაბრიჩიძემ აღნიშნეს, რომ საერთოდ არ აქვს აზრი ვიდეოთვალის დამონტაჟებას. თამაზ შარმანაშვილმა და ქეთევან ჯიქიამ აღნიშნეს, რომ ქ. ქობულეთში სულ არის 15 საარჩევნო უბანი და ვიდეოთვალის განთავსება მოხდეს დამატებით ამ უბნებზე. დავით რობაქიძემ აღნიშნა, რომ რომელ უბნებშიც იყო ყველაზე დიდი დარღვევები და პრობლემები, ვიდეოთვალების განთავსება მომხდარიყო იმ უბნებზე. კერძოდ დ. ჩაქვში განლაგებულ უბნებზე. თამაზ შარმანაშვილმა, გია გარსევანიშვილმა და ასლან ჩავლეიშვილმა აღნიშნეს, რომ დ. ჩაქვში განლაგებულ უბნებზე ვიდეოთვალის განთავსება გამართლებული არ იქნებოდა, ვინაიდან არა მარტო დ. ჩაქვში, მაშინ აჭარაში არესბულ ყველა დაბაში უნდა მოხდეს ვიდეოთვალის განთავსება, რაც შეუძლებელია დროის უკმარისობის გამო. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან ქ. ბათუმში, შემავალ ყველა უბანზე უნდა მოხდეს ვიდეოთვალის განთავსება ასევე გამართლებული იქნებოდა დამატებით ქ. ქობულეთის ტერიტორიაზე შექმნილ უბნებზეც თუ მოხდება ვიდეოთვალის განთავსება, რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ქ. ქობულეთის ტერიტორიაზე განლაგებულ 15 საარჩევნო უბანზე ვიდეოთვალის განთავსების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 10;
წინააღმდეგი 2;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებული განკარგულება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების პროცესში ვიდეოდაკვირვებისა და ჩაწერის საშუალებები – ე. წ. ვიდეოთვალი განთავსდეს №81 ქობულეთის საარჩევნო ოლქში შემავალ ქ. ქობულეთის ტერიტორიაზე შექმნილ №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №51, №52, №53, №54 და №60 საარჩევნო უბნებზე არსებულ კენჭისყრის შენობებში (გარდა გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი იმ საარჩევნო უბნებისა, სადაც შესაბამისი სამართლებრივი აქტით ვიდეოდაკვირვება და ჩაწერა აკრძალული ან შეზღუდულია).

2. კენჭისყრის შენობაში დამონტაჟდეს ორი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა, რომელთაგან ერთი გააკონტროლებს გამჭირვალე საარჩევნო ყუთში კონვერტების ჩაგდების პროცესს, ხოლო მეორე-სარეგისტრაციო მაგიდებს, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა კენჭისყრის შენობაში უნდა განლაგდეს ისე, რომ არ დაირღვეს ხმის მიცემის ფარულობა.

3. კენჭისყრის შენობაში, სადაც განთავსებული იქნება ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა, კენჭისყრის შედეგების შეჯამების შემდეგ, ამ სისტემის მიერ გადაღებული მასალა გონივრულ ვადაში (ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე) გადაეცეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც ამ მასალას საარჩევნო ოლქში კენჭისყრის შედეგების შეჯამებისთანავე გადასცემს უსკოს.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მოისმინეს: კომისიის წევრმა დავით რობაქიძემ აღნიშნა, რომ აჭარის ა. რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება ტელევიზიის და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი არღვევს პოლიტიკური პარტიებისათვის განკუთვნილ საეთერო დროს და თავის სიუჟეტების დიდ ნაწილს უთმობს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბათუმის მაჟორიტარ კანდიდატს ზაზა გოგოტიშვილს. ასევე აღნიშნა, რომ მიეცეს მითითება აღნიშნულ დეპარტამენტს იმდენივე საეთერო დრო დაუთმოს სხვა მაჟორიტარ კანდიდატებსაც, რამდენსაც უთმობს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარ კანდიდატს ზაზა გოგოტიშვილს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ, კომისიის წევრებმა თამაზ შარმანაშვილმა და გია გარსევანიშვილმა. კომისიის წევრმა თამაზ შარმანაშვილმა აღნიშნეს, რომ ეს არის დეპარტამენტის პრეროგატივა თუ ვისზე გააკეთებს სიუჟეტს. გარდა ამისა ეს საკითხი არის არა კომისიის, არამედ მედიამონიტორინგის განხილვის საკითხი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საეთერო დროის თანაბრად განაწილების, დებატებში მონაწლეობისას ერთნაირი პირობების შექმნისა და საარჩევნო რეკლამების თანაბრი პირობების დადგენის საკითხები მოწესრიგებულია საარჩევნო კანონმდებლობთ, ასევე აღნიშნა, რომ მაუწყებელი რომელიც საკუთარ ეთერში განათავსებს წინსაარჩევნო რეკლამას, ვალდებულია უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად გამოყოს საარჩევნო კანონთ დადგენილი დრო თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისათვის. კანონმდებლობის თანახმად მაუწყებელი (დეპარტამენტი) ვალდებულია, კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის გარდა, ყველა სხვა პარტიას წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების მიზნით გამოუყოს დრო, რომელიც თანაბრად გადანაწილდება ამ სუბიექტებს შორის.

სხდომაზე სხვა საკითხი არ განხილულა

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია